



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 245/ს
08/08/2022

245-21-4-202208081649



დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარე ტერიტორიაზე, შპს „ეიჩე-რენტალის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ეიჩე-რენტალის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია, დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარე ტერიტორიაზე სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმო მდებარეობს დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარე ტერიტორიაზე, კომპანიის საკუთრებაში არსებულ 5000 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 71.52.04.207). სამსხვრევ-დამახარისხებელი დანადგარის განთავსების GPS კოორდინატებია: X-486600, Y-4674400. საწარმოს ტერიტორიიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დაშორებულია დაახლოებით 2000 მეტრით. ობიექტიდან, უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტები, მდ. შარახევი დაშორებულია დაახლოებით 30 მეტრით, ხოლო მდ. ფშავის არაგვი 110 მეტრით.

2022 წლის 5 მაისს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შპს „ეიჩე-რენტალის“ კუთვნილი ობიექტის ინსპექტირება, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №058646 ოქმი და ადმინისტრაციული წარმოების მასალები განსახილველად გადაეგზავნა დუშეთის მაგისტრატ სასამართლოს. სასამართლომ, 2022 წლის 20 მაისის №4-ა/43-22 დადგენილებით კომპანია სცნო ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, ობიექტი აღჭურვილია შემდეგი ინფრასტრუქტურით: მიმღები ბუნკერი, საცრელ-დამხარისხებელი დანადგარი, სამსხვრევი დანადგარი (ვერტიკალური და ჰორიზონტალური სამსხვრეველა, რომელთა წარმადობა შეადგენს 80 ტ/სთ), კლასიფიკატორი, ღია სასაწყობე მოედანი, სამკამეროანი სალექარი, ლენტური ტრანსპორტიორი. სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოში

გათვალისწინებულია წელიწადში 100 000 მ³ (160 000 ტ) ინერტული მასალის სველი მეთოდით გადამუშავება (50 მ³/სთ).

სკრინინგის განცხადების თანახმად, ტექნოლოგიური პროცესი იწყება ლიცენზირებული კარიერებიდან სატვირთო მანქანებით საწარმოს ტერიტორიაზე ქვიშა-ხრემის შემოზიდვით, რომელიც საწყობდება ჩატვირთვის ბუნკერის მიმდებარე ტერიტორიაზე და შემდგომ, თვითდამტვირთველის საშუალებით ჩაიტვირთება ბუნკერში, ან პირდაპირ მიეწოდება ჩატვირთვის ბუნკერს. ბუნკერიდან ნედლეული გადაინაცვლებს საცრელ-დამახარისხებელ დანადგარზე, სადაც ხდება მისი გარეცხვა და წვრილი ფრაქციების გამოყოფა. მსხვილი ფრაქცია, ლენტური ტრანსპორტიორით მიეწოდება ვერტიკალურ სამსხვრევს, სადაც ხდება მასალის უხეშად დამსხვრევა. ვერტიკალური სამსხვრევიდან დამსხვრეული მასალა მიეწოდება საცრელ-დამახარისხებელ დანადგარს, სადაც ნედლეული ირეცხება და ხარისხდება. 5 მმ-მდე დიამეტრის ფრაქცია ლენტური ტრანსპორტიორით ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე, 5-35 მმ დიამეტრის ფრაქცია მიეწოდება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერს, ხოლო 35 მმ-ზე მეტი დიამეტრის ფრაქცია - ჰორიზონტალურ სამსხვრევს, სადაც ხდება მისი წვრილ ფრაქციად დამსხვრევა და მეორე საცრელ-დამახარისხებელ დანადგარში გადატანა, საიდანაც 0-5 მმ, 5-10 მმ და 10-20 მმ დიამეტრის პროდუქცია ხვდება ღია სასაწყობო მოედანზე, ხოლო უფრო მსხვილი ფრაქციის 20-40 მმ და 40 მმ-ზე მეტი დიამეტრის ღორღი გადაიტანება სპეციალურ გამანაწილებელ ბუნკერში და ხელახლა იმტვრევა ჰორიზონტალურ სამსხვრევში. საბოლოო პროდუქცია სპეციალური გამანაწილებელი ბუნკერიდან კლასიფიკატორების გავლით თავსდება ღია სასაწყობო მოედანზე. ინერტული მასალა სამსხვრევებსა და კლასიფიკატორებს შორის გადაიზიდება ლენტური ტრანსპორტიორების საშუალებით.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის სამუშაო რეჟიმი შეადგენს წელიწადში 250 დღეს, დღე-ღამეში 8 საათს. საწარმოში დასაქმებულია 5 ადამიანი.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოში წყალი გამოიყენება სასმელ-სამეურნეო და საწარმოო მიზნებისათვის. ობიექტის სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ჩამოსხმული (ბუტილირებული) სახით, ხოლო საწარმოო მიზნით წყალაღება ხორციელდება მდ.შარახვიდან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-486672, Y-4674431. წყლის აღება გათვალისწინებულია მდინარის პირას არსებული ხელოვნურად მოწყობილი ბეტონის ჭიდან, რომლის სიღრმეა 3 მეტრი, ხოლო მოცულობა 3-4 მ³. აღნიშნული ჭის წყლით მომარაგება ხდება მდ. შარახვიდან, თვითდინებით, 30 სმ დიამეტრის და 3 მ სიგრძის პოლიეთილენის მილის საშუალებით. აღებულ წყალში ცოცხალი ორგანიზმების მოხვედრის თავიდან ასაცილებლად, მილის თავი დაფარულია ბადით, რომლის თვალის სიდიდე 0.1 სმ-ია. ჭიდან წყლის მოპოვება ხდება ელექტროტუმბოს მეშვეობით. ინერტული მასალის რეცხვისას და სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარში სველი წესით მსხვრევისას, საჭიროა საათში 50 მ³ წყალი, რაც საწარმოს სამუშაო რეჟიმის გათვალისწინებით, წლიურად შეადგენს 100 000 მ³-ს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ობიექტის ფუნქციონირების შედეგად წარმოქმნილი საწარმოო ჩამდინარე წყლების წლიური რაოდენობა შეადგენს 50 000 მ³-ს. ჩამდინარე წყლების დაბინძურება ხდება შეწონილი ნაწილაკებით, ამიტომ წყლის გაწმენდა ხდება მექანიკური დალევის მეთოდით. ტექნოლოგიურ პროცესში გამოყენებული წყალი იკრიბება საწარმოო მოედანზე მოწყობილი შემკრები ღარებით და მიეწოდება სამკამერინან

ჰორიზონტალურ სალექარს (პირველი კამერა - 50x10x3მ; მეორე კამერა - 50x15x3მ; მესამე კამერა - 50x15x2.5მ). სალექარის საერთო მოცულობა შეადგენს 6000 მ³-ს. გაწმენდილი წყალი ჩაედინება მდ. ფშავის არაგვში. წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატებია: X-486438, Y-4674534. ჩამდინარე წყალში შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაცია არ გადააჭარბებს 60 მგ/ლ-ს. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების შესაგროვებლად ტერიტორიაზე განთავსებულია 5 მ³ ტევადობის წყალგაუმტარი ორმო, რომელშიც ასევე ხდება სამეურნეო-ფეკალური წყლების ჩაშვება. აღნიშნული ორმოს დაცლა ხდება საჭიროებისამებრ, შესაბამისი ნებართვის საფუძველზე.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ობიექტის ფუნქციონირების ეტაპზე მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის წარმოქმნა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. დოკუმენტში იდენტიფიცირებულია არაორგანული მტვრის გამოყოფისა და გაფრქვევის წყაროები, ასევე, წარმოდგენილია გაფრქვეული მავნე ნივთიერების რაოდენობრივი მაჩვენებლები. სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავება ხდება ხველი მეთოდით, რაც უზრუნველყოფს მსხვრევის დროს წარმოქმნილი არაორგანული მტვრის რაოდენობის შემცირებას. წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა, საწარმოს წარმადობისა (100 000 მ³) და უახლოესი საცხოვრებელი სახლის (2 000 მ) გათვალისწინებით, არ გადააჭარბებს კანონმდებლობით დადგენილ დასაშვებ ნორმებს. შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელების ძირითადი წყაროებია ტექნიკურ პროცესში ჩართული დანადგარ-მექანიზმები. ობიექტიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლის დაშორების მანძილის (2000 მ) გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირების პროცესში ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტის ოპერირების ეტაპზე წარმოიქმნება საყოფაცხოვრებო და სახიფათო ნარჩენები, რომლებიც გროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანას უზრუნველყოფს მუნიციპალური სამსახური, ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენები დროებით საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე გამოყოფილ სახიფათო ნარჩენების კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. რაც შეეხება სალექარში წარმოქმნილ ლამს (წლიურად დაახლოებით 5-10 ტ), დროებით საწყობდება საწარმოს ტერიტორიაზე და შემდგომში გამოიყენება კომპანიის კუთვნილი ლიცენზიის ფარგლებში წარმოქმნილი ქვაბულების ამოსავსებად, ასევე, საწარმოს ტერიტორიამდე მისასვლელი გზის მოსასწორებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საწარმოს სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საწარმოს ტერიტორია წარმოადგენს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, ათვისებულ და ტექნოგენურად სახეცვლილ მიწის ნაკვეთს, სადაც არ

ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი ფენა და მცენარეული საფარი წარმოდგენილი არ არის. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. შესაბამისად, ობიექტის ექსპლუატაციით გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, საწარმოს მიმდებარედ (500 მეტრიან რადიუსში) ანალოგიური პროფილის მქონე ობიექტ(ებ)ი არ ფიქსირდება. აღნიშნულის გათვალისწინებით, საწარმოს ფუნქციონირებით კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, სკრინინგის განცხადება განთავსდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაგზავნილ იქნა დუშეთის მუნიციპალიტეტის მერიაში საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საწარმოს ადგილმდებარეობის, ტექნოლოგიური ციკლის (სველი მეთოდით გადამუშავება) და მოსახლეობასთან დაშორების მანძილის (2000 მ) გათვალისწინებით, საქმიანობა არ გამოიწვევს გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.1 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ დუშეთის მუნიციპალიტეტში, სოფ. თვალივის მიმდებარე ტერიტორიაზე შპს „ეიჩე-რენტალის“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეში) გადამამუშავებელი საწარმოს ექსპლუატაცია **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ეიჩე-რენტალი“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ეიჩე-რენტალს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ეიჩე-რენტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ ფიცხელაური

თ. ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო